ტექნიკური პირობები

1) შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს დმანისის მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების სისტემის (ქსელის) დაზიანებული მონაკვეთების (დაზიანებულ მონაკვეთზე გრუნტის დამუშავება ხელით, ან ექსკავატორით, დაზიანებული მილ(ები)ის შეცვლა გადაბმვა, ბეტონის კაპტაჟების მოწყობა ან/და შეკეთება, სათავე ნაგებობების მოწყობა ან/და შეკეთება, ავარიული წერტილების შეკეთება, სათავე ნაგებობების და წყლის შემკრებების გაწმენდა, ჭაბურღილების მოვლა შენახვა და სხვა აუცილებელი სამშაოები, რომელსაც წერილობით განსაზღვრავს შემსყიდველი და წერილობითი სახით აცნობებს შემსრულებელს)

ა) აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

სამუშაოების შესრულების დროს გამოყენებულ მასალის მწარმოებელს უნდა გააჩნდეს შესაბამისი სერთიფიკატები საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან, (სერთიფიკატს უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში თან უნდა ერთვოდეს თარგმანი სახელმწიფო ენაზე საჭიროების შემთხვევაში) ხოლო სამუშაო უნდა შესრულდეს მაღალი ხარისხით და სრულად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს. (შემსრულებელი ვალდებულია წარმოადგინოს სერთიფიკატი შემსყიდველის მოთხვნისამებრ გამოყენებული მასასალის შესაბამისი)

გამოყენებული პოლიეთილენის მილები არ უნდა იყოს PN10 ატმოსფეროზე ნაკლები საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს სერთიფიკატი პოლიეთილენის მილის მასალის შემადგენლობაზე.

ყოველი კონკრეტული დავალების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან უნდა გავრცელდეს 1 (ერთი) წლიანი საგარანტიო პერიოდი (საგარანტიო პერიოდში დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, შემსრულებელი დაზიანების აღმოფხვრას განახორციელებს უსასყიდლოთ). შემსყიდველის წერილობითი ან სატელეფონო შეტყობინებიდან მაქსიმუმ 10 კალენდარულ დღეში.

2) შემსყიდველი სამუშაოს შესასრულებლად შემსრულებელს უგზავნის წერილობით შეტყობინებას. (გამონაკლის შემთხვევებში ფორსმაჟორულ სიტუაციაში სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე დაუყოვნებლივ)შემსრულებლმა სამუშაო უნდა შეასრულოს შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.(სამუშაოების სირთულიდან გამომდინარე სამუშაოს შესრულების ვადა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს)

3) შემსრულებლის მხრიდან განისაზღვროს ერთი ან მეტი პასუხისმგებელი პირი:

ა) დავალების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი;

ბ) სამუშაოს შესრულების დროს საკონტაქტო პირი;

4) სამუშაოები განისაზღვრება დანართი 2 -ის შესაბამისად;

შენიშვნა: დანართი N2 (სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში) მე-5 პუნქტში წარმოდგენილია დაზიანებული წერტილების შეკეთება. აღნიშნული პუნქტის განფასებისას შემსრულებელმა უნდა გაითვალისწინოს რომ დაზიანებული წერტილის შეკეთებაში შედის მასალის, ხელფასის და ტრანსპორტირების ხარჯიც დაზიანებული წერტილის შეკეთებას შესაძლებელი დაჭირდეს ხამუთის დადება ან ჩაჭრა და მექანიკური ფიტინგით შეერთება. იმ შემთხვევაში თუ დაზიანებული წერტილი ლითონის მილზე იქნება და ვერ ხერხდება მისი ხამუთით ან მექანიკური ფიტინგით აღდგენა სამუშაობის ღირებულება ანაზღაურდება ლითონის შედუღების სამუშაოებით და არა დაზიანებული წერტილის შეკეთებით.

გრუნტის დამუშავება პნევმატური ჩაქუჩით სამუშაოების სირთულეს განსაზღვრავს შემსყიდველი გრუნტის ადგილზე გადამოწმების შემდეგ იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხდება ექსკავატორით გრუნტის გაჭრა.

პოლიეთილენის მილისთვის ბალიშის მოწყობის დროს გამოყენებული ქვიშა უნდა იყოს დამუშავებული არ უნდა ერიოს ქვები და სხვა მყარი მასალები.

კაპტაჟების და სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის დროს გამოყენებული რკინა ბეტონი უნდა იყოს მაღალი ხარისხის ცემენტისგან არ უნდა იყოს 300 მარკაზე ნაკლები გამოყენებული ცემენტი (რიგ შემთხვევაში ცემენტის მარკა არ უნდა იყოს 500 მარკაზე ნაკლები შემსყიდველის მოთხოვნიდან გამომდინარე).

კაპტაჟების და რეზერვუარების შემოღობვის დროს გამოყენებულ ლითონის ბოძებს უნდა ქონდეს დამცავი ლისტი თავზე რათა არ მოხდეს წყლის ჩასვლა მილში და თავიდან იქნას არიდებული ზამთრის პერიოდში მილის გაყინვის და გახეთქვის ალბათობა.

არსებული ლითონის გარცმის მილის ტრანსპორტირება და მონტაჟის დროს შემსრულებელმა უნდა გაითვალისწინოს რომ გარცმის მილების ტრანსპორტირება მოუწევს მაქსიმუმ 30 კმ.რადიუსში მილები დასაწყობებულია ააიპ დმანისის კომუნალური სამსახურის ტერიტროიაზე და საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველის მოთხოვნის შეასაბამისად შემსრულებელი ვალდებულია მილის ტრანსპორტირება განახორციელოს და მოაწყოს გარცმის მილად შემდგომ წყლის მილის გასატარებლად.

სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური და ქიმიური ანალიზი: ანალიზის ჩატარება საჭირო იქნება შემსყიდველის მოთხოვნიდან არა უმეტეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში ანალიზი უნდა მოიცავდეს ე.წ მოკლე მიკრობიოლოგიური და ფიზიკურ ქიმიურ ანალიზს სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს სასმელად ვარგისიანობისთვის შესამოწმებელი ნორმატივები (სუნი 20⁰ C, გემო, ფერი, სიმღვრივე, გამჭვირვალობა, წყალბადის მაჩვენებელი, სულფატი, ამონიუმის იონი, ნიტრიტი, ნიტრატი, ელექტრო გამტარობა, სიხისტე, საერთო კოლიფორმა 300მლ-ში(კოლი ინდექსი), E.COLI, საერთო რკინა და სხვა.)

დანართი N2 ში 43-ე გრაფაში წარმოდგენილია ფეკალური მასების ამოტუმბვა და გატანა. სამუშუაოები უნდა შესრულდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან გამომდინარე სამუშაოების ჩატარება საჭირო იქნება ძირითადად სპორტული მოედნების და სკვერებში არსებული საზოგადოებრივი ტუალეტის სეპტიკებიდან, რომლებიც არის ყველაზე შორს დმანისის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 30კმ-მანძილზე. თვითეულის მოცულობა არის დაახლოებით 7-10მ3 მდე.

ჭაბურღილების მოვლა შენახვის სამუშაოებში განსაზღვრული გაუთვალისწინებელი ხარჯებიდან დამატებით შესაძლებელია გამოყენებული იქნას ელექტრო სამუშაოები რომელზეც სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება მოხდება შესაბამისი ხელშეკრულების და ზედნადებების წარმოდგენის შემთხვევაში

ასევე ფორმა N 2-ში არის გრაფა გაუთვალისწინებელი ხარჯის 3% გაუთვალისწინებელი ხარჯის ანაზღაურება მოხდება რიგ შემთხვევაში (მასალების დანახარჯით) წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების მიხედვით ხოლო შრომის დანახარჯი საბაზრო ფასების მიხედვით, რომელსაც შემსრულებელი წინასწარ უგზავნის და ათანხმებს შემსყიდველთან.